



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

თბილისი 0114, თავისუფლების მოედანი 2, ტელ: +995 (32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge
FREEDOM SQUARE 2, 0114 TBILISI, GEORGIA; TEL: +995(32)2 15 92 92; www.sakrebulo.ge

№ 07/6144

„07“ ივნისი 2017 წ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2017 წლის 23 მაისი №FOI05/17-207 (ჩვენი 25.05.2017წ. №07/6144) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე „დანამატი“ გაიცემა - „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და აპარატის მოხელეებზე დანამატის გაცემის შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 დეკემბრის №685 ბრძანებისა და მასში 2015 წლის 27 იანვარს №32 და 2016 წლის 30 დეკემბერს №1245 შესული ცვლილებების საფუძველზე (იხილეთ დანართი 6 ფურცლად), ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს V მოწვევის წევრებზე (თანამდებობის პირები) 2014 წლის ივლისის თვიდან პრემია არ გაიცემა.

2016 წელს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუჯეტის „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან აპარატის 248 მოსამსახურის პრემიებზე გაიცა- 1 446 900 ლარი, ხოლო 272 მოსამსახურის დანამატებზე- 1 557 645 ლარი. 2016 წელს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შტატით გათვალისწინებულ 248 მოსამსახურეზე „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან გაცემული თანხა შეადგენს - 6 091 797 ლარს. 2016 წელს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის 227 შტატგარეშე მოსამსახურის ანაზღაურებაზე გაცემული თანხა შეადგენდა - 3 198 217 ლარს. 2016 წელს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეზე ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯი შეადგენდა - 240 665 ლარს, აქედან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მიღებული სამივლინებო ხარჯი შეადგენდა - 217 865 ლარს. 2016 წელს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ სატელეფონო მომსახურებაზე გაწეული ხარჯი შეადგენდა- 49 063 ლარს.



ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი 2016 წელს შეადგენდა - 42 067 ლარს, ხოლო სტუმრების გამასპინძლებასთან დაკავშირებით სარესტორნო მომსახურებაზე გაწეული ხარჯი შეადგენდა - 1 738.23 ლარს. 2016 წელს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ავტომობილის შესყიდვა არ განხორციელებულა, ხოლო საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯი შეადგენდა - 193 988 ლარს.

2016 წელს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა - 242 750.57 ლარი.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებულ შტატთან თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 247 ხოლო შტატგარეშე თანამშრომლების 69-ს. რაც შეეხება 2016 წლიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატიდან გათავისუფლებული თანამშრომლების დინამიკას თვეების მიხედვით, გიგზავნიტ ცხრილის სახით. (იხ დანართი: 2 ფურცელი). გარდა აღნიშნულისა, დღეის მდგომარეობით საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში დასაქმებულია 7 შტატის თანამშრომელი და 5 შტატგარეშე მოსამსახურე.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ 2016 წლისთვის სულ 130-მა საჯარო მოსამსახურემ გაიარა ტრენინგი მათ შორის - პროგრამული ბიუჯეტირება, მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, excel-ის პროგრამა, ეფექტური კომუნიკაცია და პრეზენტაცია, პროექტების წერა და მართვა, ლიდერობა და გუნდის მშენებლობა, ფონდების მოძიება.

2016 წელს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბალანსზე რიცხული ავტომობილების ჩამონათვალი იხილით დანართი სახით. (დანართი: 4 ფურცელი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ავტომობილებზე გამოწერილი ვიდუო ჯარიმების აღრიცხვა არ მომდინარეობს, ვინაიდან გამოწერილი ჯარიმების ანაზღაურებას საკუთარი თანხით უზრუნველყოფენ თავად მძღოლები.

ასევე გიგზავნიტ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სატელეფონო კავშირით სარგებლობის ხარჯების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №280 განკარგულების, „ქ. თბილისის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატში სამსახურეობრივი ავტომანქანების გამოყენების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №279 განკარგულების და მასში შესული ცვლილებების დამოწმებულ ასლებს. (დანართი: 14 ფურცელი).

დანართი: 26 ფურცელი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

6. 3152 607

ნინო კეკელიძე